წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი _ კორნელი სალია

თანამდებობის დასახელება_ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
ფრაქციის დასახელება ___ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის".

კომისი(ებ)ის დასახელება-

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) -პროპორციული
საანგარიშო პერიოდი_ 2022 წლის 01 ნოემბრიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _ რიგითი

I.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა _ 24

საკრებულოს სხდომებზე დასწრება ____ 22

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - კომისიის სხდომებზე დასწრება _

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა _22

ფრაქციის სხდომებზე დასწრება _ 22

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

- 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონების თაობაზე;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ
-„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
-საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე;
-„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" და აღნიშნულ წესში ცვლილებების შეტანა;

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის თაობაზე;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
-სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
- ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" და აღნიშნულ წესში ცვლილების შეტანა
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავისა და სატელეფონო ბარათების ხარჯვის ლიმიტის დაწესების შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;
-შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს (2022წ) განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის მოსმენა;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე;
-ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ
-„2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის შესახებ", ანგარიშის განხილვა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში გასატარებელი ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების თაობაზე
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის და თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აუქციონის ფორმით იჯარით გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის მე-20 ქუჩისთვის, აფხაზეთის ომში დაღუპული მალხაზ ხარჩილავას სახელის მინიჭების თაობაზე;
-გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე;

-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ;

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
-ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე და აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების წესის დამტკიცების შესახებ;
-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავისა და სატელეფონო ბარათების ხარჯვის ლიმიტის დაწესების შესახებ განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა _40_ და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა -1150.

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები _
-საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესება , მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურეობის გაუმჯობესება (კერძოდ, ფსიქიკურ ავადმყოფებზე ყოველთვიური ფულადი დახმარების გაზრდა.)
-ლესალეს უბაში ხიდი მოწყობის საკითხები.
-ქ. წალენჯიხაში სპორტული მოედნების კეთილმოწყობის საკითხი.
-ზვიად გამსახურდია გორისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.
-ზუგდიდი ქუჩაზე ყოფ. ჩაის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე დასასვენებელი პარკის მოწყობა.
- საფეხბურთო კლუბ ,,სქურის" მძიმე სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საპრიზო ფორდის ბიუჯეტში გათვალისწინება.
- მოსახლეობის ტრანსპორტით გადაადგილების ხელშეწყობის პროგრამის გათვალისწინება შემდეგ მარშუტებზე : სქური- ჯგალი - წალენჯიხა, წყოუში-პახულანი-ლია-წალენჯიხა, ერისწუალი-მუჟავა-ჯვარი-წალენჯიხა.

8) -დაფინანსდა სტადიონების მოწესრიგების საკითხი ჯგალში და ქ.წალენჯიხის სასარიოს უბანში ფიფიას ქუჩაზე.
-ზუგდიდს ქუჩაზე ყოფ.ჩაის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო დასასვენებელი პარკის მოწყობა.
-ლესალეს უბანში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის აღდგენა დაფინანსებულია.
-დაფინანსდა უფასოდ მოსახლეობის გადაყვანა კვირაში ორჯერ შემდეგ მარშუტებზე:
სქური- ჯგალი - წალენჯიხა, წყოუში-პახულანი-ლია-წალენჯიხა, ერისწუალი-მუჟავა-ჯვარი-წალენჯიხა, ჩქვალერი-საჩინო-წალენჯიხა.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მოქალაქეებთან შეხვედრებზე გამოთქმული ყველა საკითხი განხილულ იქნა როგორც კომისიის ასევე ფრაქციის სხდომებზე და მერიასთან თანამშრომლობით პრობლემების ნაწილი დადებითად იქნა გადაწყვეტილი, მათ შორის:- მოეწყო ჭაბურღილი ჯგალში ლეთოფურეს უბანში, მოწესრიგდა სტადიონები ჯგალში და ქ.წალენჯიხის სასარიოს უბანში, ფიფიასა და ზუგდიდს ქუჩებზე, ყოფ.ჩაის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო დასასვენებელი პარკის მოწყობა, აღდგენილიქნა ლესალეს უბანში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდი, ასევე დაფინანსებულია უფასოდ მოსახლეობის გადაყვანა კვირაში ორჯერ შემდეგ მარშუტებზე: სქური- ჯგალი - წალენჯიხა, წყოუში-პახულანი-ლია-წალენჯიხა, ერისწყალი-მუჟავა-ჯვარი-წალენჯიხა, ჩქვალერი-საჩინო-წალენჯიხა. სხვა არსებული თუ შემდგომში წამოჭრილი პრობლემები ასახვას ჰპოვებს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

-ვარ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ამასთან ერთად გენდერის საბჭოს თავმჯდომარე და საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა- საქართველოსთვის“ წევრი, მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში, ფრაქციის სხდომებზე ვაფიქსირებ ჩემს პოზიციებს მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებთან და საკითხებთან დაკავშირებით. სხვადასხვა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით ფრაქციის სხდომებზე მიღებული რეკომენდაციები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერს. როგორც გენდერის საბჭოს თავმჯდომარე, გენდერის საბჭოს წევრებთან ერთად, გენდერულ ჭრილში, ვახორციელებ სხვადასხვა აქტივობებს, მონაწილეობას ვღებულობ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

შევსების თარიღი 31/10/2023 წ.

წარდგენის თარიღი 31/10/2023 წ.

ხელმოწერა